ახალი ხარაგაული

356 (15) 7 ივლისი, 2017 წ

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, ზვარისა და ჩრდილის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრის ძირითად საკითხებს სოფლის წინაშე არსებული პრობლემების მიმოხილვა და მიმდინარე წელს ინფრასტრუქტურული პროექტების გეგმის გაცნობა წარმოადგენდა. უახლოეს მომავალში ჩრდილში, დაახლოებით, კილომეტრ-ნახევარი გზა მობეტონდება. პროექტი უკვე მოიწონა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და დასაფინანსებლად რეგიონალური განვითარების ფონდს გაეგზავნა. გამგებელმა შეკრებილ მოქალაქეებს ამცნო, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტი ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის (დაახლოებით 50 კმ) მოასფალტებას გეგმავს. რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმა უკვე მომზადებულია და სამშენებლო სამუშაოები ოქტომბრიდან დაიწყება. როგორც **ნიკოლოზ თოფურიძემ** აღნიშნა, ამ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და მიგრაციის პროცესების შეჩერებას. გამგებელმა მოსახლეობის პრობლემებიც მოისმინა და იმ სოციალურ პროგრამებზე ისაუბრა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ადგილობრივების მხრიდან ძირითად პრობლემად სამასალე ხე-ტყეზე ხელმიუწვდომლობა და გზების პრობლემა დასახელდა. ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სარკინიგზო გვირაბების მშენებლობა წლებია, მიმდინარეობს. აღნიშნულ პროექტს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ ასრულებს და მძიმე ტექნიკის გადაადგილება გაუსაძლის მდგომარეობას ქმნის სოფლის გზებზე. მოსახლეობას რთულ პირობებში უწევს ცხოვრება. ზვარის დამეწყრილ ზონაზე ამჟამად გეოლოგები მუშაობენ. როგორც მკვლევარები განმარტავენ, პრობლემა მოგვარებადია და კვლევის შედეგები მალე დაიდება. უკმაყოფილება გამოთქვა მოსახლეობამ გამრიცხველიანების პროცესთან. მათი განცხადებით, რაც ახალი მრიცხველები დამონტაჟდა, დენის გადასახადი გაციცებით მეტია. კითხვები დაისვა ასევე ზვარის ბანაკთან დაკავშირებით. ადგილობრივები პრიორიტეტად მიიჩნევენ სოფელში ახალგაზრდული ბანაკის აღდგენასა და ზვარის მინერალური წყლის ქარხნის ამოქმედებას. გამგებლის ინფორმაციით, ზვარის ბანაკის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხები ადგილობრივ თვითმმართველობას მოძიებული ჰქონდა, თუმცა იქ სამშენებლო სამუშაოები ვერ განხორციელდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ბანაკის ტერიტორიის 14% -ს კერძო მესაკუთრე ფლობს. თოფურიძე იმედს იტოვებს, რომ ამ პიროვნებასთან შეთანხმება მოხდება და ბანაკში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება. გამგებელმა მოსახლეობის მიერ დასმულ სხვა კითხვებსაც ამომწურავი პასუხები გასცა და შეკრებილ მოქალაქეებს, კომპეტენციის ფარგლებში, პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, მოსახლეობას შეხვდა



ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **კობა ლურსმანაშვილმა**, მოსახლეობას გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. შეხვედრა ხარაგაულის კინოთეატრში გაიმართა და მას საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, საკრებულოს წევრები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

,,ყველა ჩემი ქმედება, რაც პოლიტიკაში მოვედი, საქართველოს ძლიერებასა და ხარაგაულის უკეთეს მომავალზე იყო ორიენტირებული. რა თქმა უნდა, ახლაც იგივე პრინციპებით ვმოქმედებ და ხაზგასმით ვიტყვი, რომ ,,ქართული ოცნების“ გუნდს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული“, -ამ სიტყვებით გახსნა შეხვედრა კობა ლურსმანაშვილმა და დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა მმართველი პოლიტიკური ძალისადმი გამოხატული ნდობისთვის. დეპუტატმა თავის მოხსენებაში მიმოიხილა ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა განხილვაშიც პარლამენტში აქტიურად ღებულობს მონაწილეობას. ისაუბრა საკონსტიტუციო ცვლილებებზეც და აღნიშნა, რომ ცვლილება შეეხო როგორც ქვეყნის მმართველობის ფორმას, ისე ხელისუფლების შტოებს შორის ძალთა ბალანსს. მისივე თქმით, ყოველივე ეს ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა და კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. დეპუტატმა მიწების გაყიდვის წესსა და თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ნებოძირსა და ქვებში ცენტრალურ გზაზე ბეტონის საფარი დაიგება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ნებოძირსა და ქვებში ცენტრალურ გზაზე ბეტონის საფარის დაგებას ითვალისწინებს. ნებოძირში 800 მეტრიანი მონაკვეთი მობეტონდება, პროექტის სავარაუდო ღირებულება 159 970 ლარია. ქვებში ბეტონის საფარი სოფლის ცენტრალურ გზაზე 1000 მეტრზე დაიგება, რისთვისაც, სავარაუდოდ, 160 822 ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შეასრულებს და რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დაიწყება. ამის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა პირადად ამცნო. როგორც **ნიკოლოზ თოფურიძემ** აღნიშნა, ინფრასტრუქტურის განვითარება სოფელში ეკონომიკური სიძლიერისა და სოფლად ახალგაზრდების შენარჩუნების წინაპირობაა.გამგებელმა მოსახლეობის პრობლემები და პრიორიტეტებიც მოისმინა, რა სჭირდებათ და რისი გაკეთება სურთ მომავალში.

შეხვედრას ესწრებოდა გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, **ჯაბა ბერაძე**, რომელმაც მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური განმარტებები გააკეთა და ამ საკითხით დაინტერესებულ მოსახლეობას პირადად დახმარება აღუთქვა.

ლარიხევში გზის მობეტონების სამუშაოები დასრულდა

ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ღარიხევში გზის მობეტონების სამუშაოები დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაციას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **არჩილ მაღრაძე** ავრცელებს. მაღრაძე, რომელიც ამავდროულად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეა, ამბობს, რომ მუნიციპალიტეტმა სამუშაოები უკვე ჩაიბარა და იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად შესრულდა. გამგებლის პირველი მოადგილის თქმით, ახლად რეაბილიტირებული გზა ადგილობრივებს კომფორტული გადაადგილების შესაძლებლობას მისცემს და სოფელს ბევრ სიკეთეს შეჰმატებს. შეგახსენებთ, რომ ღარიხევის ცენტრალური გზის პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან 63 109 ლარით დაფინანსდა, რომლის

ფარგლებში მობეტონდა ცენტრალური გზის 700 მეტრიანი მონაკვეთი.

ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დამატებით 2 მილიონ-ნახევარი ლარი გამოეყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის **ნიკოლოზ თოფურიძის** ინფორმაციით, რეგიონალური განვითარების ფონდმა მუნიციპალიტეტს დამატებითი თანხები გამოუყო. ფარცხნალი, ლეღვანი, ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი გზა, კიცხი, ჩრდილი, ლაშე, ხემაღალი, საქარიქედი, ლახუნდარა, ღვერკი - ეს ის სოფლებია, სადაც გზების მობეტონება წელს დაიწყება. როგორც გამგებელი განმარტავს, სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამგეობა ტენდერებს ივლისის თვეში გამოაცხადებს. პროექტები, რომელთა კილომეტრაჟობა 2000 მეტრს აღემატება, გარდამავალი იქნება და მომავალ წელს დასრულდება.

მუნიციპალიტეტში დამატებით შემდეგი პროექტები განხორციელდება:

ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (984 მეტრი, ღირებულება 176 124 ლარი);

დაბა ხარაგაულში ქუჩების, ჩიხების რეაბილიტაცია და არხების გაწმენდა (გარდამავალი პროექტი, სულ საპროექტო ღირებულება -382 508 ლარი, წელს დაიხარჯება 180 000ლარი);

ლეღვნის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (4 100 მეტრი, რომლის საპროექტო ღირებულებაც 813 130 ლარია);

ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (4590 მეტრი, გარდამავალი პროექტი, სრული ღირებულება-554 306 ლარი, მიმდინარე წელს გზის 300მეტრიანი მონაკვეთი რეაბილიტირდება, რომლისთვისაც 60 000 ლარი დაიხარჯება);

ჩრდილის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (2400 მეტრი, ღირებულება 325 083 ლარი);

კიცხის (მდინარაძეების უბანი) გზის რეაბილიტაცია (2 500 მეტრი, გარდამავალი პროექტი, საპროექტო ღირებულებაა 445 000 ლარი,მიმდინარე წელს 356 188 ლარი დაიხარჯება);

ღვერკში გზის რეაბილიტაცია (1400 მეტრი, ღირებულება 161 414 ლარი);

ლაშის ა/ერთეულის სოფელ ხემაღალში გზის რეაბილიტაცია 2 100 მეტრი და ლაშეში მანჯავიძეების უბანში (ბორის მანჯავიძის სახლამდე 250 მეტრი) გზის რეაბილიტაცია (275 000 ლარი);

საქარიქედის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (2 200 მეტრი, გარდამავალი პროექტი, სრული ღირებულებაა 313 634 ლარი, მიმდინარე წელს 188 234 ლარი დაიხარჯება);

ლახუნდარის (ქვედა ლახუნდარა, ეკლესიის უბანი) ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (2350 მ, გარდამავალი პროექტი, სრული ღირებულებაა 400 000 ლარი, მიმდინარე წელს 200 ათასი ლარი დაიხარჯება).

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, მოსახლეობას შეხვდა

დასაწყისი▶ 1 გვ.

საკითხებზეც გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მიწები აღარ გაიყიდება. მუნიციპალიტეტებს კი გამგებლების ნაცვლად მერები ეყოლებათ, რომლებსაც გაცილებით მეტი უფლებამოსილება მიენიჭებათ.

პარლამენტარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში ყველა მიმართულებით კოლოსალური მშენებლობები მიმდინარეობს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა.

,,მიმდინარე სიკეთეები პირდაპირი ფორმით ადამიანის ცხოვრების დონეზე მოკლე დროში ვერ აისახება, მაგრამ ყველა ვხედავთ, რომ ვითარება უკეთ მიემართება. რომელი პრობლემის მოგვარებაც შეუძლებელი გვეგონა, თურმე მოგვარებადი ყოფილა. როდესაც გაჟღერდა, რომ ძირულა - ჩუმათელეთის მაგისტრალის მშენებლობა დაიწყებოდა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი პესიმისტურად იყო განწყობილი. დღეს კი სულ სხვა რეალობა გვაქვს, ამ პროექტზე მუშაობა დასრულების ეტაპზეა და სამშენებლო სამუშაოები სექტემბრიდან დაიწყება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის სოფლებში, ყველაზე რთულ მონაკვეთებზე, ბეტონის საფარი დაიგება, ნადაბურში კი ახალი საბავშვო ბაღი აშენდება“. - განაცხადა **კობა ლურსმანაშვილმა**.

შეხვედრაზე საუბარი იყო ზვარის მინერალური წყლის ჩამომსხმელ ქარხანაზეც. დეპუტატის თქმით, აღნიშულ საკითხზე საუბარი გარემოს დაცვის კომიტეტში ჰქონდა და დარღვეულია ლიცენზიის პირობები. ლურსმანაშვილი მიიჩნევს, რომ ლიცენზიის მოპოვებისათვის აუქციონი თავიდან უნდა გამოცხადდეს და გამოჩნდეს ახალი ინვესტორი, რომელიც უზრუნველყოფს ქარხნის ფუნქციონირებას. მან ასევე მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის შესახებაც ისაუბრა და განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მეტად მნიშვნელოვანი ობიექტები გაიხსნა და მოსახლეობას ამ მიმართულებით კიდევ მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა. პარლამენტარი იმ სიკეთეებსაც შეეხო, რომლითაც მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები სარგებლობენ. მან ხაზგასმით აღნიშნა ასევე საჯარო მოხელეებზე 2018 წლის იანვრიდან ხელფასების მატება. იგი მიიჩნევს, რომ თანამდებობრივი სარგოების ზრდა სტიმულს მისცემს დასაქმებულებს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათზე დაკისრებულ უფლებამოვალეობებს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ხედვებისა და მოსაზრებების გამოხატვის საშუალება მიეცა. სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატებმა იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომლებიც მწვავედ დგას მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში. საკრებულოს წევრებმა სოციალური დახმარების მიღებასთან, სოფლების გაზიფიცირებასა და ბუნებრივი რესურსის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პარლამენტარს შესაბამის სამინისტროებში შუამდგომლობა სთხოვეს.

როგორც დეპუტატმა განმარტა, სოციალური დახმარების გაცემის წესში ცვლილებები იგეგმება და თუ ვინ მიიღებს ფულად დახმარებას, რაღაც დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობაც ჩაერევა. მისივე თქმით, ის აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებასთან და აპირებს, რომ რიგი საკითხების მოგვარების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები მოითხოვოს. ამბობს, რომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობს, ყველა კანონიერი გზა გამოიყენოს ადამიანების დასახმარებლად.

დასასრულს, **კობა ლურსმანაშვილმა** მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისგან მხოლოდ ის კანდიდატები იქნებიან მხარდაჭერილი, ვინც სარგებლობს ხალხში ავტორიტეტით და გამოირჩევა პროფესიონალიზმით. პარლამენტარის თქმით, ,,ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ვინაობა უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი მსგავსი ტიპის შეხვედრებს მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულშიც გეგმავს. შეხვედრების ორგანიზატორი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ოთარ ლურსმანაშვილია**.

ეკა შავიძე

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, **მანანა ბარბაქაძე**, ვაშლევისა და მაქათუბნის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი იგება და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დავითი“ ასრულებს. მაქათუბანში მთლიანად რეაბილიტირდება ცენტრალური გზა(2კმ), ხოლო ვაშლევში (ტაძართან) 880 მეტრი სიგრძის გზის მობეტონება იგეგმება.

აღნიშნული პროექტები რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 422 988 ლარია.

სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

ხარაგაულის სახალხო თეატრი ლიმბაჟის თეატრალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი (რეჟისორი **ირინე ჩხეიძე**) ლატვიაში, ქალაქ ლიმბაჟში, გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს. აღნიშნულ ფესტივალში დასი წელს მესამედ მიიღებს მონაწილეობას და ამჯერად მაყურებელს სპექტაკლ ,,დარისპანის გასაჭირს“ უჩვენებს. აღსანიშნავია, რომ მგზავრობის ხარჯები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის **ნიკოლოზ თოფურიძის** უშუალო ძალისხმევითა და მხარდაჭერით, სს „საქართველოს რკინიგზამ“ დააფინანსა.

ხარაგაულის თეატრის რეჟისორი **ირინე ჩხეიძე** თვლის, რომ ფესტივალში მონაწილეობა დიდი პასუხისმგებლობაა და იმედს იტოვებს, რომ ხარაგაული როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ღირსეულად წარმოჩნდება.

,,საოცარი განცდა და მღელვარება ახლავს ჩვენს გამგზავრებას. დიდი მადლობა ,,საქართველოს რკინიგზას“ და გამგებელს, **ნიკოლოზ თოფურიძეს**, რომელთა დახმარებითაც მოხდა ჩვენი გამგზავრება. ტენდენცია, რომ ასეთი მსხვილი ორგანიზაცია ეხმარება მუნიციპალიტეტის თეატრს, არის მისასალმებელი და დასაფასებელი. სასიხარულოა, რომ შესაძლებლობა გვეძლევა ქართული ხელოვნება საქართველოს გარეთ გავიტანოთ და ჩვენი ერის კულტურა სხვა ქვეყნებსაც გავაცნოთ,“ - აღნიშნა **ირინე ჩხეიძემ**.

გამგზავრების წინ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, დასის წევრებს შეხვდა და მსახიობებს წარმატებები უსურვა.

აღსანიშნავია, რომ ლიმბაჟის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს ხარაგაულის სახალხო თეატრი დახურავს. საქართველოსთან ერთად ფესტივალში ლიტვის, ლატვიის, უკრაინის, ესტონეთის, დანიისა და გერმანიის თეატრები მიიღებენ მონაწილეობას.

ლელა გუგულაშვილი

ლარისევში გარე განათების ქსელი მოეწყო

ბაზალეთი-ღარიხევის მიმართულებით გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი **ვარლამ ჭიპაშვილი** ავრცელებს. როგორც ჭიპაშვილი განმარტავს, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათება არასდროს ყოფილა და ადგილობრივები ამ ფაქტით მეტად გახარებული არიან. მისივე თქმით, ქსელის მოსაწყობად 20 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასულ წელს გამოიყო. წელს კი, მუნიციპალიტეტის გამგეობის დავალებით სამუშაოები ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის" თანამშრომლებმა შეასრულეს.

შეგახსენებთ, რომ გარე განათების სისტემა ბაზალეთის ცენტრალურ გზაზე 2015 წელს გაკეთდა.

უსვი ნაღექით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 31 900 ლარი გამოეყო

მთავრობის განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 31 900 ლარი გამოეყო. ამის შესახებ დეპუტატებმა 27 ივნისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. მისი განმარტებით, აღნიშნული თანხა ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის შეკეთებას მოხმარდება. რაც შეეხება რამდენიმე კვირის წინ უხვი ნალექის შედეგად გამოწვეულ ზარალს, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ინფორმაციით, ამ ეტაპზე ხარჯების დათვლა მიმდინარეობს და ხარჯთაღრიცხვა სამინისტროს გადაეგზავნება.

დეპუტატებმა 2015-2017 წლებში რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

4 ივლისს საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა 2015-2017 წლებში რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი მათ გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა **მალხაზ ფხალაძემ** გააცნო. სხდომას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე** და მოადგილე **არჩილ მაღრაძე** ესწრებოდნენ. ფხალაძემ დაწვრილებით ისაუბრა ბოლო ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც ამომწურავი პასუხები გასცა. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **თორნიკე ავალიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ მოწონებული პროექტები რიგ შემთხვევაში არ სრულდება და მაგალითად ზვარის ახალგაზრდული ბანაკი მოიყვანა. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, ზვარის ყოფილი ბანაკის შენობასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე სამართლებრივი დავა მიმდინარეობს და საკითხი შეჩერებულია. რაც შეეხება პანდუსების მოწყობას, პროექტი მომავალ წელს აუცილებლად განხორციელდება.

დეპუტატი **გივი ხიჯაკაძე** პრეტენზიას გამოთქვამს იმის გამო, რომ ვარძიის პირველ უბანში ბეტონის საფარი მხოლოდ 500 მეტრზე იგება. ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი **ვარლამ ჭიპაშვილი** კი ქროლის გზის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ პრიორიტეტების შერჩევისას პიროვნული მიდგომები უნდა გამოირიცხოს.

,,ბოლო პერიოდში ხარაგაულში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რაც მისასალმებელია. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, როდესაც საპროექტო ნუსხას საკრებულო იწონებს, შემდგომ ვინ ცვლის და რის მიხედვით ენიჭებათ პრიორიტეტი. დაგვპირდნენ, რომ მომავალ წელს ქროლის გზა შეკეთდება. ვიმედოვნებ, საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ერთობლივად იმუშავებენ და ეს პრობლემა გადაიჭრება.“- დასძინა **ვარლამ ჭიპაშვილმა**.

მალხაზ ფხალაძის განმარტებით, გამგეობა პრიორიტეტულად იმ გზების რეაბილიტაციას მიიჩნევს, სადაც ყველაზე რთული მონაკვეთია. ფხალაძე ამბობს, რომ ერთ წელიწადში ყველა გზა ვერ გაკეთდება და ეტაპობრივად ეს სიკეთე ყველა სოფელში შევა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **შალვა ლურსმანაშვილმა**, კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი რახიელას ღელესა და ჯიხველას კალაპოტის განმენდის შესახებ. ლურსმანაშვილი ხარაგაულისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დამატებითი თანხების გამოყოფას დადებითად აფასებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ორი სოფლის დამაკავშირებელ გზას არ უნდა ენიჭებოდეს პრიორიტეტი მაშინ, როცა ძალიან ბევრ სოფელში შესასვლელი გზა არაა მოწესრიგებული. საუბარია ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის **ნიკოლოზ თოფურიძის** განმარტებით, ორი სოფლის დამაკავშირებელი გზის წელს შეკეთებაზე არაა საუბარი. „თუ პროექტთა ნუსხაში კარგად ჩავიხედავთ, იქ წერია, რომ მიმდინარე წელს მარელისის გზის მობეტონების სამუშაოები (ასფალტის საფარის ბოლო პუნქტიდან) 300 მეტრზე გაგრძელდება და ეს პროექტი მომავალ წელს დასრულდება,“ - განმარტავს გამგებელი.

დეპუტატი **დავით კიკნაძე** საღანძილეში საბავშვო ბაღის აუცილებლობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ სოფელში ბაღის მშენებლობა კონტინგენტის რაოდენობის მიხედვით უნდა განისაზღვროს. საღანძილეში ბავშვთა რაოდენობა 52-ს აღწევს. **დავით კიკნაძემ** ყურადღება სოფელ ზარანში მოწყობილ გარე განათების სისტემაზეც გაამახვილა, რომელიც 8 თვეა უკვე გამართულია და ჩართვა ვერ მოხერხდა.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **ვლადიმერ გელაშვილის** განმარტებით, ეს პრობლემა გადაწყვეტილია და განათება ივლისდან ჩაირთვება.

ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი **ლენა აბაშიძე** ტენდერებიდან დაზოგილი თანხით ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ბაზაზე დღის ცენტრის მოწყობას ითხოვს.

იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **მიხეილ გელაშვილი** დაინტერესდა, რამდენადაა შესაძლებელი, მომავალ წელს გარდამავალ პროექტებთან ერთად სხვა პროექტებიც განხორციელდეს და თუ ეს ასე იქნება, მოხდება თუ არა სოფელ ნადაბურის გზის რეაბილიტაცია.

ნიკოლოზ თოფურიძის განმარტებით, ხარაგაულში მომავალ წელს გარდამავალ პროექტებთან ერთად, რა თქმა უნდა, სხვა პროექტებიც განხორციელდება. რაც შეეხება იმას, მოხვდება თუ არა ნადაბურის გზა 2018 წლის პრიორიტეტებში, **გამგებელმა** აღნიშნა, რომ ამაზე შესაბამისი სამსახურები იმუშავებენ და, სავარაუდოდ, ნადაბურის გზის რეაბილიტაცია მომავალ წელს დაიწყება.

თამარ მაღრაძე

„გოდერძი გვეჩურჩულებოდა ფოთლების ენით...“

პირველი ივლისის დილა. ჩვენმა ,,ხომალდმა“ (მესაჭე გელა ლურსმანაშვილი) ხარაგაულიდან გუდამაყრისაკენ, გოდერძი ჩოხელის სულის საუფლოსაკენ, აიღო გეზი...

გუდამაყრის თემის ცენტრი, სოფელი კიტოხი, ის ადგილია, სადაც ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა (დირექტორი იზა ვეფხვაძე) პროექტის ფარგლებში ,,ჩემი საქართველო აქ არის!“ უნდა აჩვენოს სპექტაკლი ,,ამ მიწის ბედი ჩემი ბედია!“. სპექტაკლი გოდერძი ჩოხელს ეძღვნება და, თუ რაოდენ დიდია მისადმი ინტერესი, ეს ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ იმ დღეს ზემოაღნიშნული პროექტით კიტოხი იყო მეორე (პირველი - უფლისციხე სპექტაკლით ,,საქართველოს შიშველი სატევარი"), სადაც ორმოცდამეთვრამეტედ იყო ნაჩვენები სპექტაკლი ,,ამ მიწის ბედი ჩემი ბედია!“.

დუშეთის მუნიციპალიტეტის კიტოხის საჯარო სკოლის დარბაზმა მაყურებელი ვერ დაიტია, ამიტომ გადაწყდა სპექტაკლის სკოლის ეზოში ჩვენება. სახელდახელო ,,სცენამ“ ამჯერადაც არ უღალატა მსახიობის უნარ-შესაძლებლობებს...

„ბუჩქში იმღერებს, თუ მაღალ ხეზე-
ბულბული მაინც ბულბულად რჩება!"_

,,შემომეშველა " პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი.

ემოციებით დატვირთული მაყურებელი გრძნობდა, რომ იმ დღეს ჩვენ გვერდით იყო გოდერძი ჩოხელი, ჩვენ გვერდით იყვნენ მის თხზულებათა პერსონაჟები, მისი ფილმების გმირები და გოდერძი ჩვეული სიდინჯით გვპასუხობდა ღრმა ფილოსოფიურ კითხვებზე:

-რა არის სიცოცხლე?

-სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა...

- სიკვდილი?

- სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა...

გოდერძი ჩოხელის ჩვენ გვერდით ,,ყოფნა“ დიდებულად გამოხატა კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა: „ვუსმენდი ხეთა ფოთლების შრიალს და მეგონა, რომ გოდერძი გვეჩურჩულებოდა ფოთლების ენით...“

***

ჟრუანტელი გვივლიდა, როცა ორი ათას ოცდახუთ წელს წასაკითხად შვილიშვილისადმი მიძღვნილ გოდერძის წერილს კითხულობს მსახიობი : „... სიკვდილისა კი არა, იმისი მეშინია, ვაითუ ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ჩემს შვილიშვილს ისე გავუპარტახო საქართველო, იის ძირ-თესლიც კი გავუწყვიტო და ორი ათას ოცდახუთ წელს სხვა ქვეყანაში საყიდელი გავუხადო იების თაიგული.

მეშინია და თან იმედს ვიტოვებ, რადგან აქედან ვხედავ, როგორ გაღიმებული და ბედნიერი მოდის ჩემს საფლავთან ჩემი შვილიშვილი, საფლავზე ახალდამშრალ მზორეში მოკრეფილ იების კონას დადებს და მეუბნება:-აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები!

ღმერთო, ნუ მომიშლი ამ იმედს!“

***

ფოთოლთა შრიალს, სულ რაღაც სამიოდე მეტრის დაშორებიდან, ერწყმოდა დაუდეგარი შავი არაგვის ტალღების ხმაური, რომლისადმიც უკიდეგანო სიყვარული ასეთი გრძნობით გამოხატა გოდერძი ჩოხელმა:

„სად დაგიჩოქო, არაგვო,
რომელ ტალღაზე გემთხვიო,
თუ მუხლის ჩოქვით ამოგყვე,
სათავეს გადაგეხვიო...
შენი ნაპირის ლოდები,
მინდა, ჩავიკრა გულშია,
ჭრელ ღილად დაგეკერები
მაგ მოლივლივე სულშია...“

***

გუდამაყარს იმ დღეს უამრავი საპატიო სტუმარი ჰყავდა: ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის დელეგაციის წევრები ისრაელიდან: პოეტი და მსახიობი **ნანა დავარი**, არქიტექტორი და მეცენატი **პაატა იოსებაშვილი**, სანქტ-პეტერბურგში მოღვაწე დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მიგრიაულთას მკვიდრი, ჩრდილოეთის ქალაქში მუდამ ქართული საქმისადმი შთაგონებული, პოეტი და მეცენატი **ავთანდილ ბუთხაშვილი**, ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები, მხატვრები, პოეტები, ჟურნალისტები, ლიახვის ხეობის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები, თბილისის 129-ე საჯარო სკოლის (დირექტორი ეკა ხიჯაკაძე) პედაგოგთა თითქმის სრული შემადგენლობა.

დიდი სიამოვნება განგვაცდევინეს: აფხაზეთიდან დევნილი ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა, რომელთაც გამოავლინეს გოდერძი ჩოხელის პოეტურ სამყაროში წვდომის დიდი უნარი და სხვა ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

***

ვენერა კიკნაძე, მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი, ხარაგაულელთა დელეგაციის წევრი: როცა გუდამაყრისკენ მივეშურებოდი, აკაკის სიტყვები მახსენდებოდა: „გული არ იშლის გულობას...“ დიახ, სწორედ გულმა არ დამიშალა, რომ, ასაკის მიუხედავად, ამ უმშვენიერესი წუთების თანაზიარი გავმხდარიყავი. ჩამოთვლაც გამიჭირდება, თუ როგორი საინტერესო და ცნობილი ადამიანები გავიცანი პირადად, თანაც ადამიანის ნიჭისა და ბუნების რა ზღაპრული სილამაზე ვიხილე...

სიამაყე მიძლიერდებოდა, რადგან ხარაგაულიდან მიგვიძღოდნენ გულისხმიერი ,,პატრონები“: საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დეპუტატი **დავით კიკნაძე**, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ვარლამ ჭიპაშვილი**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ოთარ ლურსმანაშვილი**, „ხარაგაულელი-ქუთაისელი“, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი **გოჩა გიორგიძე** და სხვები.

შინ დაბრუნების შემდეგ ჩემთვის სამაგიდო წიგნად და სულის საუნჯედ იქცა კიტოხის მთავარანგელოზის ეკლესიის უგანათლებულესი ბერი დიმიტრის (ჩოხელი) მიერ ნაჩუქარი საკუთარი პოეტური კრებული „მზის ყანა“.

მინდა, დელეგაციის სახელით მადლობა გადავუხადო ხარაგაულის ადგილობრივ ხელისუფლებას, ჩვენი სკოლის საამაყო აღზრდილს ქალბატონ **იზა ვეფხვაძეს**, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსებისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგიძლიეროთ სიკეთისაკენ სწრაფვის სურვილი!

***

ძალზე კმაყოფილნი ვტოვებთ გუდამაყარს. ვცდილობთ, გოდერძის თხოვნა შევუსრულოთ: მიწაზე ფეხი ფრთხილად დავადგათ, ყვავილი არ გავთელოთ, ჭიანჭველა არ გავსრისოთ. ბეჭზე შემოფრენილი ჭიამაია ლაღად გავუშვათ სივრცეში...

მინდა, საგაზეთო წერილი დავასრულო ამონარიდით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ **გიორგი ხორბალაძის** წიგნიდან ,,იების სევდა“: ,,დღევანდელი გადასახედიდან თითქოს წინასწარ არის განსაზღვრული, რომ გოდერძი ჩოხელმა გზაში დაბადება უნდა გაამართლოს... შემოქმედებითი გზის ზენიტში უნდა შეწყვიტოს ცხოვრება, მაგრამ არა არსებობა...უნდა დარჩეს სამარადისოდ, ოღონდ ეს უკვე არც მერე, არც მანამდე, არც მოგვიანებით, არც ახლა...

ეს უკვე ყველა დროში...“

ჭეშმარიტად!

მერი გიორგიძე

ინტელექტ - ჩემპიონატ „ეტალონის" ფინალურ ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ

ბათუმის საზაფხულო თეატრში საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ ,,ეტალონის" ფინალი გაიმართა, რომელსაც ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, **კობა ლურსმანაშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე, **მანანა ბარბაქაძე**, დაესწრნენ. ღონისძიებაში მონაწილეობას ოთხმოცდასამი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი იღებდა. ხარაგაულის სახელით კი მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლე, **ნინო მაღრაძე**, იყო წარმოდგენილი, რომელმაც მუნიციპალიტეტში გამართულ „ეტალონში“ მაქსიმალური ქულები დააგროვა და ფინალში გავიდა.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა, „ეტალონის" 2016-2017 სასწავლო წლის ფინალისტებს სიტყვით მიმართა და წარმატებები უსურვა.

,,დიდი მადლობა ბატონ **გოჩა ტყეშელაშვილს** იმისთვის, რომ ის ხელს უწყობს ახალგაზრდებს საკუთარი ნიჭის გამოვლენასა და ცოდნის გაღრმავებაში. ბედნიერი ვარ, რადგანაც წილად მხვდა, პარლამენტარების პოზიცია თქვენს წინაშე წარმომედგინა - მათ საკუთარი ხელმოწერებით გამოხატეს მხარდაჭერა პროექტ „ეტალონის" მიმართ“. დეპუტატის თქმით, „ეტალონი" ისეთი პროექტია,რომელსაც ნებისმიერი ტელევიზია სიხარულით უნდა უღებდეს კარს და ღირსეული ადგილი აუცილებლად იქნება ტელესივრცეში ამ პროექტისათვის.

დაძაბული თამაშის შემდეგ ,,საქართველოს ეტალონი მოსწავლის" ტიტულის მფლობელი (90ქულით) ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, **ვახტანგ ჩაჩხიანი** გახდა, რომელსაც კომპანია „ანაგიმ" და '„ორბიმ" 5000-5000 ლარი გადასცეს, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 1000 ლარიანი ვაუჩერი. რაც შეეხება **ნინო მაღრაძეს**, ინტელექტ-ჩემპიონატში 84 ქულა დააგროვა და სხვა მონაწილეებისაგან განსხვავებით საკმაოდ წარმატებით იასპარეზა.

აღსანიშნავია, რომ გამოვლინდნენ სხვადასხვა ადგილზე გასული გამარჯვებულებიც, რომლებსაც **კობა ლურსმანაშვილმა** სიგელები გადასცა.

ეკა შავიძე

სოციალურად დაუცველი მოქალაქეები საჭირო მედიკამენტებს ყოველთვიურად უფასოდ მიიღებენ

საქართველოში უფასო წამლების პროგრამა იწყება. დაახლოებით, 600 000 მოქალაქე, რომელიც სოციალურად დაუცველ პირთა ან ქრონიკულ დაავადებათა მქონე მარტოხელა პენსიონერთა კატეგორიას განეკუთვნება, საჭირო მედიკამენტებს ყოველთვიურად უფასოდ მიიღებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა და აღნიშნული სიახლის შესახებ პირადად ესაუბრა. მინისტრის თქმით, ჯერჯერობით საუბარია 30 დასახელების მედიკამენტზე. მაგალითად, აქამდე თუ პენსიონერს თვეში 20-30 ლარის მედიკამენტების ყიდვა სჭირდებოდა, ახალი პროგრამის დანერგვის შემდეგ, მას ეს სიმბოლური თანაგადახდით, მაქსიმუმ, თვეში 1 ლარი დაუჯდება. სერგეენკოს განმარტებით, ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ეს იქნება სახელმწიფო პროგრამა, რომელიც წლების განმავლობაში იმუშავებს.

პირველ ეტაპზე უფასო წამლებს ის პირები მიიღებენ, რომლებსაც აწუხებთ გულსისხლძარღვთა სისტემის პრობლემები (მაღალი წნევა, გულის უკმარისობა, კორონარულ სისხლძარღვთა დაავადება), ენდოკრინოლოგიური დაავადებები (დიაბეტის მეორე ტიპი და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები), ბრონქიალური ასთმა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება.

მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ წელს ამ პროგრამის გაფართოება და მასში სხვა ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ საჭირო პრეპარატების შეტანა მოხერხდება. პროგრამისთვის ბიუჯეტიდან 5 მილიონი ლარი გამოიყო.

ეკა შავიძე

ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით ჩხერიმელაზე თევზაობა გაიმართა

1-2 ივლისს ა(ა)იპ „ხარაგაულის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ორგანიზებით, მდინარე ჩხერიმელაზე შეჯიბრი - „იღბლიანი ანკესი“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 15-მდე მოყვარულმა მეთევზემ მიიღო. გამარჯვებული და ,,იღბლიანი ანკესის" მფლობელი ბერიკა ებანოიძე გახდა, მეორე ადგილი კი ლუკა ხომასურიძემ დაიკავა. შეჯიბრის ყველა მონაწილეს სიგელები გადაეცათ. ასევე დაჯილდოვდა ყველაზე პატარა მონაწილე ნიკოლოზ მანჯავიძე.

,,ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის ბერიკა თურმანიძის თქმით, ეს ღონისძიება ერთგვარი აქცია იყო უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ. თურმანიძე იმედოვნებს, რომ ასეთი აქტივობები ხელს შეუწყობს მოყვარული მეთევზეების დაახლოებასა და თევზჭერის პოპულარიზაციას აკრძალული მეთოდების გარეშე.

ეკა შავიძე

ტურიზმის ცენტრში თემაზე „არ ითევზაო ელექტროშოკით“ პრეზენტაცია გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრში თემის „არ ითევზაო ელექტროშოკით“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც საუბარი იყო ხარაგაულში უკანონო თევზჭერასა და საკალმახე მდინარეების სავალალო მდგომარეობაზე. პროექტი ტურიზმის ცენტრის თანამშრომლის, ბაქარ ბარბაქაძის, ინიციატივით განხორციელდა და აღწერილი და შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტში არსებული 43 მდინარე. ,,მოგეხსენებათ, ხარაგაულის მთის მდინარეებში გავრცელებულია წითელ წიგნში შეტანილი ნაკადულის კალმახი. დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ მდინარეებში სავალალო მდგომარეობაა. შედარებით კარგი ვითარებაა ბჟინევურაზე, ლეღვნულასა და ჯონჯოურაზე. ამ მდინარეებს ადგილობრივი მოსახლეობა იცავს და ეკოკატასტროფის წინაშე არ ვდგავართ.“- განმარტა **ბაქარ ბარბაქაძემ**.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, იმერეთის გარემოსდაცვითი სამმართველოს სწრაფი რეაგირებისა და პატრულირების განყოფილების უფროსი, ალექსანდრე კოხრეიძე, სატყეოსააგენტოს წარმომადგენლები და საკითხით დაინტერესებული სხვა პირები.

ტურიზმის ცენტრის დირექტორის, ბერიკა თურმანიძის, ინფორმაციით, 2015-2016 წლებში ქვეყანაში გაიზარდა „სპორტული თევზაობით“ დაინტერესებული ტურისტების შემოსვლა და ამ კუთხით ხარაგაულს უდიდესი რესურსი გააჩნია.

,,ჩვენს სამომავლო გეგმებში შედის, შეიქმნას ტურისტული პაკეტები, რომლებიც მოიცავს სპორტულ თევზაობას და შეგვიძლია ნებისმიერ მსურველს შევთავაზოთ აღნიშნული მომსახურება. თუმცა ამ ეტაპზე მდინარეებში არსებული სავალალო მდგომარეობა ამის საშუალებას არ გვაძლევს. ტურიზმის განვითარებისათვის ამ პრობლემის მოგვარება აუცილებელია.“-აღნიშნა **ბერიკა თურმანიძემ**.

იმერეთის გარემოსდაცვითი სამმართველოს სწრაფი რეაგირებისა და პატრულირების განყოფილების უფროსი, **ალექსანდრე კოხრეიძე**, პრობლემის მოგვარების გზას მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში ხედავს. ამის შემდეგ კი გარკვეული სანქციებისა და პატრულირების გამკაცრებაზე საუბრობს. იგი მიიჩნევს, რომ თითოეულმა პიროვნებამ უნდა გაითავისოს პრობლემის არსი და მოუფრთხილდეს მდინარეებს. მისივე თქმით, მთავარია, მეთევზემ არ გამოიყენოს ელექტროშოკი, რომელიც არა მარტო თევზს, არამედ მდინარესაც აზიანებს.

პრეზენტაციაზე იყო მსმენელთა ჩართულობა და დამსწრე საზოგადოებამ პრობლემის გადაჭრის გზებზე მიზანმიმართულად იმსჯელა. შეხვედრის ბოლოს ნაჩვენები იქნა ვიდეო რგოლი „არ ითევზაო ელექტროშოკით.“

თამარ მაღრაძე

ხარაგაულელმა სერგო შველიძემ უკრაინაში გამართულ სპორტულ სამაგიდო თამაშში პირველი ადგილი დაიკავა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარძიაში მცხოვრებმა სერგო შველიძემ უკრაინის ქალაქ სუმში გამართულ პარაოლიმპიური თამაშების ფესტივალში წარმატებით იასპარეზა. სერგომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით გამართულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, სადაც მან სპორტულ სამაგიდო თამაშების სახეობაში (შაში) პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მკლავჭიდში (65კგ. წონით კატეგორიაში) მეორე ადგილის მფლობელი გახდა. სერგო შველიძის უკრაინის ქალაქ სუმში გამგზავრება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 1200 ლარით დააფინანსა.

ეკა შავიძე

,,თუნდაც ერთხელ თუ მოუსმინე, არასოდეს შეგეშლება სხვაში, იმდენად საკუთარია ხმა, რომელიც მის ლექსებში ისმის“...



ქართულ ლიტერატურულ წრეებში დომინირებს აზრი, რომ საქართველოს დღეს არ ჰყავს ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები, რადგან ასეთები თითზე ჩამოსათვლელადაც ცოტაა. ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ქართული პოეზია, საერთოდ, ახალ საფეხურზე ადის და ამის შეფასებას წლები სჭირდება. თუმცა ვფიქრობ, ახალგაზრდა პოეტის **გაგა გომართელის** სულისშემძვრელ და საკუთარი გრძნობების გულწრფელად გამომხატველი პოეზიის შეფასებას წლები ნამდვილად არ სჭირდება და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში პროექტის „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“ ფარგლებში ახალგაზრდა პოეტთან შეხვედრა გაიმართა. სტუმარმა ბევრი ისაუბრა თანამედროვე პოეზიის განვითარებაზე და საკუთარი შემოქმედებიდან სამშობლოსადმი მიძღვნილი და სიყვარულით შთაგონებული ლექსები წაიკითხა. მისი სულიერი სამყარო თითოეულ სტრიქონში ნათლადა წარმოჩენილი. მისი კრებულის ერთ-ერთი შემფასებელი, **ედუარდ უგულავა**, ახალგაზრდა პოეტს ასე ახასიათებს. ,,იგი სულით- ხორცამდე ქართველია, უყვარს სამშობლო, უფრო მეტიც, აღმერთებს მას. თუმცა, არც მის ზოგიერთ ნაკლოვანებებზე ხუჭავს თვალს, ნაკლოვანებებზე, რომლებიც აშკარად თუ ფარულად ჩასახლდა ქართულ ცნობიერებაში და ცდილობს, დაასნეულოს ის ღირებულებები, რითაც მუდამ ამაყობდა და გამორჩეული იყო ქართველი ერი.“

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა **ნიკოლოზ მაჭავარიანმა** მადლობა გადაუხადა პოეტს სტუმრობისა და მისი პოეტური სამყაროს უფრო ახლოს გაცნობისათვის. ღონისძიებაზე ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ გაგა გომართელი მომავალშიც არაერთხელ ესტუმრება ხარაგაულს.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე**, გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი **ირინე ჩხეიძე**, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პოეტმა ბიბლიოთეკას და დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ლექსების კრებული ავტოგრაფით უსახსოვრა. მან შეხვედრები ასევე გამართა ვერტყვიჭალის კულტურის ცენტრში და კიცხის იუსტიციის სახლის საკონფერენციო დარბაზშიც, სადაც არაერთ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით სასიამოვნო ურთიერთობა წარიმართა პოეტსა და დამსწრე საზოგადოებას შორის.

ლელა გუგულაშვილი

ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ზაურ ბერაძემ მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

გერმანიის ქალაქ დორტმუნდში დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ხარაგაულელმა **ზაურ ბერაძემ** წარმატებით იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ზაურმა ფინალში სომეხი ჰოვანეს მხითარიანი მეოთხე წუთის მიწურულს ხალიჩას ბეჭებით გააკრა და წმინდა გამარჯვება მიითვალა.

ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ ასევე **ედემი ბოლქვაძე** და **თეიმურაზ ვანიშვილი**. ოქროს მედალი მოიპოვა გივი მაჭარაშვილმა, ვერცხლი კი- ნიკა კენჭაძემ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 52 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, პირველზე რუსეთი გავიდა 67 ქულით, მეორეზე აზერბაიჯანი 58 ქულით. ევროპირველობაზე სულ 28 ქვეყნის ნაკრები იღებდა მონაწილეობას.

ეკა შავიძე

,,მხიარული სტარტებში“ ხიდრის საბავშვო ბაღის ჯგუფმა „ჭიამაიამ“ გაიმარჯვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ინიციატივით საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს შორის „მხიარული სტარტები“ ჩატარდა. სპორტულ-გასართობ თამაშში ერთმანეთს N1 ბაღის გუნდი „ნაპერწკლები,“ ამავე ბაღის გუნდი „ონავრები“, N2 ბაღის გუნდი -„გვირილა“, ხევის -„რიკოთი“, კიცხის „მერცხალი“, ხიდრის „ჭიამაია“ და ლეღვნის „ცისარტყელა“ შეეჯიბრნენ. მხიარულ თამაშებში პატარებმა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინეს და ბოლომდე დაიხარჯნენ. გამარჯვებული ხიდრის საბავშვო ბაღის გუნდი „ჭიამაია“ გახდა, რომელმაც სულ რამდენიმე ქულით გაუსწრო N1 საბავშვო ბაღის გუნდ „ნაპერწკლებს“. საუკეთესო კაპიტნის წოდება ლეღვნის საბავშვო ბაღის გუნდის წარმომადგენელმა ლუკა შარიქაძემ დაიმსახურა, რომელსაც სამახსოვროდ თასი გადაეცა. თამაშში მონაწილე ყველა გუნდს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა ოთარ ლურსმანაშვილმა. მამუკა ჭიპაშვილმა აღმზრდელ-პედაგოგებს მადლობა გადაუხადა აქტიურობისა და ბავშვების სათანადოდ მომზადებისათვის და პატარებს შემდგომში წარმატებები უსურვა. თამაშის დასრულების შემდეგ აღსაზრდელთათვის საბავშვო ბაღების გაერთიანების „თოჯინების თეატრმა“ მონო სპექტაკლი გამართა.

თამარ მაღრაძე

ოლიმპიური გარბენი ხარაგაულში

მსოფლიო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით ხარაგაულში გარბენი მოეწყო. გარბენი ე.წ. ,, დევების წყაროს “ ტერიტორიიდან დაიწყო და დაბის ტერიტორიაზე, კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელთან დასრულდა.

ოლიმპიური გარბენი გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ამ დღესთან დაკავშირებით, მსოფლიოს ყველა ქალაქში მასობრივი მძლეოსნური გარბენი ეწყობა.

სპორტულ აქტივობაში მონაწილეობა 50-მდე ხარაგაულელმა მოხალისემ მიიღო და მათგან პირველი ათეული საპატიო სიგელებითა და მაისურებით დაჯილდოვდა.

„აწარმოე საქართველოს ფარგლებში“ - ხარაგაულში კაფე-ბარი გაიხსნა

ხარაგაულში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის - „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში კიდევ ერთი ობიექტი გაიხსნა. თამარ წიქარიშვილმა და მისმა მეუღლემ აღნიშნულ პროგრამაში გასულ წელს მიიღეს მონაწილეობა და ბიზნესგეგმა 10 000 ლარით დაუფინანსდათ. კაფე-ბარი სოლომონ მეფის ქუჩაზე(N7) მდებარეობს, სადაც შესაძლებელია საკონდიტრო ნაწარმის შეკვეთაც.

გარდა ამისა,აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2015-2016 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მეტად მნიშვნელოვანი პროექტები დაფინანსდა: ავტოგასამართი სადგური, კვების ობიექტი, პურის საცხობი, სამკერვალო, საკონდიტრო, ხის გადამამუშავებელი საამქრო, ბეტონის ბოძების ჩამომსხმელი საამქრო, წვენების სახდელი საწარმო, ტყის ჩაის გადამამუშავებელი საამქრო, ფუტკრის მოშენებისთვის საჭირო ინვენტარის საწარმო და ჩირის 2 საშრობი ობიექტი.

ლელა გუგულაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12